


# სარგბიელი

სპორტული გაზეთი

ოთხშაბათი 19 ივლისი 2000 №136 (1158)

ფასი 50 თეთრი

სარგბიელი №5



ვინაა უკეთესი?  
ვინაა უკეთესი?  
ინგლისელი ფანების ამბავი არ გაინტერესებთ?  
და რიო? ამობრძანდით „მარაგანას“ ტრიბუნაზე ელგუჯა ბერიშვილთან ერთად  
მარი პირსი ფრანგი კია, მაგრამ აბა, ფრანგი საიდან არის...

ერთი სიტყვით  
ორშაბათიდან  
იყიდება ჟურნალი

**სარგბიელი**  
ფასი ძველებურად  
2 ლარი

## თემურ ქეცბაიას ვისტ ჰაბი ინოვაცს ნიუბასლი ქართულს მილიონ გირვანქად აწახსებს



თემურ ქეცბაია და „კაჭკაჭები“ ალბათ გაიყრებიან

თემურ ქეცბაიას „აპტონ პარკზე“ ეპატივებიან — ქართველი ფეხბურთელისთვის თვალი „ვესტ ჰემის“ მწვრთნელს, ჰარი რედნაპს დაუდგამს. თუ ქეცბაიას ახლანდელ გუნდს, „ნიუკასლს“ და ლონდონელებს შორის გარიგება შედგა, ჩვენი გულმემატიკივარი „აპტონ პარკს“ 19 წლის შემდეგ კვლავ საგანგებო მზერას მიაპყრობს. 1981 წელს, თასების თასის მეოთხედფინალში თბილისის ორჯერ მომგები ლორენსო სანსი კი არა, ექვსჯერ მომგები სანტიანო ბერნაბეუც რომ იყოს.

ლი ფეხბურთის მატჩის რჩეული ნაწილია. ინგლისურ სააგენტოთა ცნობით, მას მერე, რაც ნიუკასლელთა მწვრთნელმა ბობი რობსონმა 31 წლის ქეცბაია ამერიკაში, სეზონის ნახევარზე წაასაყვანა 22 კაცში არ შეიყვანა, რედნაპი მიხვდა, რომ „კაჭკაჭებთან“ ფეხბურთელის სამწლიან თანამშრომლობას წერტილი ესმება და გააქტიურდა. ამბობენ, „ნიუკასლი“, რომელსაც დღეს დიდად არ უღიზნის, თავის დროზე თავისუფალი აგენტის სტატუსით, უფასოდ შექნელ

ქართველში მილიონ გირვანქას მოითხოვს. იხსენებენ, რომ გასულ სეზონში რობსონმა თემური 28-ჯერ შეუშვა მოედანზე, მაგრამ იქიდან თავიდან ბოლომდე მხოლოდ სამჯერ ათამაშა, ისიც სეზონის დასაწყისში, აგვისტოში. ამ 28 მატჩში ქეცბაიამ ერთი გოლი გაიტანა, უეფას თასზე, სოფის ცსკა-ს კარში.

ერთი სიტყვით, თუმცა გადანყვევით ცნობილი ჯერ არაფერია, გამორიცხული არ არის, ლონდონ-ნიუკასლის გზიდან მალე სიახლე შევიტყუოთ.

**ქართული  
არგენტინაში**

თუ ნიკა ტოგონიძე  
არგენტინაში  
წავიდა, მადლობა  
ჯანი კარნევალის  
და „იუვენტუსს“  
უთხრას



**ისინი არ  
სუმრობენ**

რუსებმა ევრო 2008-ის  
მასპინძლობა მოისურვეს

**პოლო გალდინი**  
მაღალი, ლურჯთვალა,  
მდიდარი, სიმპათიური  
ანალოგურად ვეტერანი

## ბე თქვენ... გიყიდით



უკვე მერამდენე, უკვე მერამდენედ... დიდ კლუბთა პრეზიდენტები და პრეზიდენტობის მსურველები ხალხს ვარსკვლავების ჩამოყრფას ჰპირდებიან: მე თქვენ გიყიდით ფიგურს... ბექემს... ზიდანს... „რეალის“ ახალარჩეულ პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს დაუჯერეს. ასე რომ, მე თქვენ... გიყიდით

თურმე რა იოლი ყოფილა საპრეზიდენტო არჩევნების მოგება. იტყვიან ჯადოსნურ სიტყვებს: მე თქვენ გიყიდით... აქ მრავალწერტილის ნაცვლად რომელიმე სახელოვანი ფეხბურთელის გვარს ჩასვამთ და საქმეც გაკეთებულია. მეტოქეს ველარაფერი უშველის, ჩემპიონთა თასის ორჯერ მომგები ლორენსო სანსი კი არა, ექვსჯერ მომგები სანტიანო ბერნაბეუც რომ იყოს.

კი, ფლორენტინო პერესი სხვა რამეებსაც დაჰპირდა ხალხს, საზღვარგარეთ „რეალის“ საფეხბურთო სკოლებს გაეხსნო, ახალ სპორტულ კომპლექსს ავაშენებო. კლუბის ძველი ხელმძღვანელობის ვალდებულებას, მაგრამ მთავარი, ყველა მადრიდელს პირზე რომ ეკერა, ფიგუს გადმოყვანის დაპირება იყო.

კვირას, 23 ივლისს, საპრეზიდენტო არჩევნები „ბარსელონაში“ გაიმართება. იქ ხოსეპ ნუნისის მემკვიდრეობის მეტი შანსი კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ხუან გასპარს აქვს, რასაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს. ამიტომ მის კონკურენტ ლუის ბასატს რაღაც განსაკუთრებული უნდა მოეგონებინა ფაქტორების დასაწვევად. ბასატს ველოსიპედის ხელახლა გამოგონება არ დასჭირვებია, ფლორენტინო პერესი გაიხსენა და კატალონიელებს ჯადოსნური სიტყვებით მიმ-

როა: პრეზიდენტად თუ ამირჩევთ, მე თქვენ გიყიდით... ზიდანს. ეს თქვა და მეტი დამაჯერებლობისთვის (პერესიც ასე მოიქცა) დაუმატა, „იუვენტუსთან“ წინასწარი კონტრაქტი გაფორმებული მაქვსო. ტრანსფერის ღირებულება? ცხადია, ისეთივე, რაც ფიგუს შემთხვევაში — 56 მილიონი დოლარი.

ხუან გასპარი კონკურენტის ამ განცხადებას უპასუხოდ როგორ დატოვებდა, მაგრამ ლორენსო სანსის მწარე გაკვეთილი კარგად შეესწავლა და ბასატს სხვა მზრიდან მოუარა. გენსომებათ, სანსმა მადრიდელებს უთხრა, ფიგუ „რეალისთვის“ გამოსადევი რომ იყოს, მის ყიდვას ვერაინ დამასწრებდაო. ხალხმა ფიგუს უსარგებლობა არ ირწმუნა. გასპარი კი ამბობს, ზიზუ როგორ არ გვინდა, მაგრამ... ჰკითხეთ „იუვენტუსს“, უშვებს თავის ვარსკვლავს? „იუვენტუსი“ კი დუმს, რაც გასპარის სიტყვებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს.

მოკლედ, როგორც უნდა მტრობდნენ ბარსელონიელები და რეალელები, მათი პრეზიდენტობის კანდიდატები ერთი გზით მიდიან. თუმცა ის, რაც ფლორენტინო პერესმა შეძლო, ლუის ბასატისთვის ეგებ მიუღწეველ ოცნებად დარჩეს. ვაითუ, ჯადოსნურმა სიტყვებმა — „მე თქვენ გიყიდით...“ ხშირი ხბარებისგან სხვა მნიშვნელობა შეიძინა...













# გაზა — დაპინჯებული პარსკვლავი

დრო მიდის. დღეს კრესპოს საარაკო ფასზე, ლუმი ფიგუს „რეალში“ შესაძლო გადაბარგებაზე და მისთანებზე გაუთავებლად ვსაუბრობთ. არადა, გუშინწინ ერთი ისეთი გადასვლა მოხდა, ამ რამდენიმე წლის წინ რომ შემდგარიყო, სპორტული გაზეთების თავფურცლებზე მოხვდებოდა. მივიწყებულ ვარსკვლავზე, პოლ გესქონიზე მოგახსენებთ. გაზას „მიდლსბროსთან“ კონტრაქტის ვადა გაუვიდა, კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო იქ დარჩენა აღარ ისურვა და „ვევერტონს“ მიაშურა, სადაც ის სინხარულით მიიღეს.

გაზარებულია გაზაც, ბოლო წლებში ყველასაგან მომუდებული, პრემიერლიგური გუნდისგან მიწვევას არ ელოდა. არა, წინადადებები მიიღო, მაგრამ ვისგან? ავსტრალიური „მარკონი სტალიონისიგან“, ავსტრალიურ ივე „ჯუნდალუპ სიტისგან“ და ფინური „ჯოკერიტისგან“. მაგრამ აბა, სად გაზა და სად ზემოჩამოთვლილი კლუბები.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ პოლ გესქონი დღეს ის აღარაა, რაც გუშინ იყო. კლუბების პრეზიდენტები მასში ფულს არ იშურებდნენ. 1988 წელს „ტოტენჰემში“ „ნიუკასლს“ გაზაში 4.48 მილიონი დოლარი გადაუხადა. ოთხი წლის მერე კი „ლაციოს“ 8.21 მილიონად მიჰყიდა. მაშინ ეს უზარმაზარი თანხა იყო. თან ისიც გავითვალისწინოთ, რომ იტალიაში წასვლამდე გესქონიმ 16 თვე გააცდინა და სამი ოპერაცია გადაიტანა — ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თაისი ფინალში „ნოტინგემ ფორესტის“ წინააღმდეგ თამაშისას მიღებული მუხლის ტრავმა უმძიმესი გამოდგა. ხოლო იქამდე იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გარმანიასთან პენალტებით წაგებული მა-

ტჩის შემდეგ გაზას ცრემლებმა მთელი ინგლისი აატირა.

პირველ სერიოზულ ტრავმას მეორეც დაერთო — 1994 წლის აპრილში ვარჯიშისას ფეხი მოიტეხა და კვლავ იძულებითი შესვენება, ამჯერად ერთი წლით.

ფეხბურთის დაბრუნებული გაზა შოტლანდიაში „გლაზგო რინჯერსში“ გადავიდა, ერთი წლის მერე კი ევრო 96-ზე შოტლანდიელთა კარში ულამაზესი გოლი გაიტანა, რომელიც ქომაგებს დღესაც ახსოვთ. გესქონის „რინჯერსულ“ კარიერაზე საუბარი კი მოგვიანებით განვაგრძოთ და იქამდე ორიოდ სიტყვა „ცუდ“ გაზაზე ვთქვათ.

ფეხბურთელს სერიოზული უსიამოვნებები ამ ორიოდ წლის წინ დაეწყო, თუმცა იხსენებენ, რომ „ნოტინგემ ფორესტთან“ მატჩისას მიღებული ტრავმა თქვესმეტი თვე არ გააწვალებდა, იმ ავბედითი დღიდან ზუთი თვის მერე ერთ-ერთ ღამის კლუბში რომ არ ეჩხუბა და ტრავმა არ გაემიზნებინა.

1998 წლის 17 მაისს გაზას თავზე მეხვიით დაატყდა — გლენ პოლმა საჯაროდ განაცხადა, საეჭვოა, პოლ გესქონი ინგლისის ნაკრებში მოხვდეს. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. 31 მაისს პოლს საჩემპიონატო 22-კაციანი სია უნდა წარედგინა და ბევრი სხვა დარჩენილ ორ კვირაში მწვრთნელის გულის მოგებას შეეცდებოდა, მაგრამ არა გაზა. პოლდის განცხადებიდან მეორე დღესვე ინგლისურმა ტაბლოიდებმა მთვრალი, პირში სივარტეგარტობილი ფეხბურთელის ფოტო გამოაქვეყნეს, რომელსაც „მოკრძალებული“ წარწერა ამშვენებდა: „გაზა აღვირახსნილი ღამის მერე.“ პოლა, რა გასაკვირია, რომ 31 მაისს გამო-

ქვეყნებულ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში გესქონი არ ეწერა. მერე კი...

11 ოქტომბერს ნერეულმა სტრესმა და ალკოჰოლიზმმა გაზა საავადმყოფოში მიიყვანა. ორი კვირის მერე ნაკურნალემა ფეხბურთელმა თქვა, მორჩა, სასმელს აღარ გავეკარებო. დაეჯერება?

კევი კივანის ნაკრებში მისვლამ გაზას იმედი ჩაუსახა, ეგებ მან მაინც დამბარუნოს, მაგრამ კივანი სულთა გადასახლების საკითხისგან განსხვავებით, გაზას ნაკრებიდან მოკვეთაში პოლს სავესებით ეთანხმებოდა. პო, არ დაგვაფიწყდეს, მთვრალი გესქონი სახლში მისვლისას ცოლს სცემდა და მერე გაზეთებით ბოდიშს უხდიდა, უცხოპლანეტელთა ზეგავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი.

აი, ასეთია „ცუდი“ გაზა, თუმცა 1996 წლის 9 ნოემბერს „ეროვნულზე“ მისულ ქართულ გულშემატკივრებს სხვანაირი გაზა დაგვაშასოვრდა. ახლა კი გესქონის „რინჯერსულ“ კარიერას მიეუბრუნდეთ, რომელიც იმით არის საინტერესო, რომ იქ მას უოლტერ სმიტი წვრთნიდა. სმიტსაც ის ძველი გაზა ახსოვდა და ახლა „ვევერტონში“ გადაბარგებულმა თავისი ვარსკვლავი გაიხსენა.

„გაზას ჯერაც შეუძლია და, რაც მთავარია, სურს დიდი ფეხბურთის თამაში. მე მას ვენდობი“ — ამბობს სმიტი. მაღლიერი ფეხბურთელი კი პასუხობს: „მთელი ზაფხულია, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ. არ მინდა, სმიტი გავაწბილო. მან ისედაც გარისკა, როცა თავისთან გადასვლა შემომთავაზა, ბევრი ვერ გაბედავდა“.

მართლაც იცვლება დრო და დამიანები. გაზასგან ასეთ სიტყვებს ადრე ვერ მოისმენდით.

გიორგი ღარბაჯანი



პოლ გესქონი

REUTERS ლივინგსტონიდან

პერლა Perla

# პ ე რ ლ ა

პერლა Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა დ ა ზ ი ა





კოსტავას 47





















# გამის ამბორი


**წარმოგიდგინო**  
პოლანდიელ  
ველომბრბოლს ერეკ  
დეკერსა და მის ბიჭუნას.  
შვილი ცოტა ხანში  
ალბათ ნაყინს შეჭამს,  
საბნის ბუშტებს  
გამოუშვებს და იქნებ  
გემრიელად დაიძინოს  
კიდეც, მამას კი როგორ  
საქმე ელის: ველოსიპედით  
196,5 კილომეტრის გავლა  
უწევს, „ტურ დე  
ფრანსის“ მე-16 ეტაპზეა  
ლაპარაკი და ბოლოსთვის  
უჭკველად სულის  
მობრუნება გაუჭირდება.  
დეკერი პირმშოს თავზე  
კოცნის, რომანტიზმის  
თეორიის თანახმად, ამით  
მას ძალა ემატება. ძალა  
კი საქირთა.

	<b>ავსტრია</b>		<b>უკრაინა</b>
	III ტური		II ტური
	რაპიდი 2:0 ლინცერი		ციურისი 2:2 სერვები



# ჩინური თადარიგი

ჩინელებს პრობლემა აქვთ, თაობათა ცვლა უმტკივნეულოდ ვერ ხერხდება. ძველები, რომელთაც მსოფლიოს აუზები რამდენიმე წლის მანძილზე ახანზარეს და მოუხსნელი რეკორდი არ დარჩენიათ, ხანში შევიდნენ და წყლის უწინდურად გაბობა უჭირთ, ახლებს კი მსოფლიოს რჩეულ მოცურავეთა სიაში ვერსად ნახავეთ. პრობლემის მოსასობად მუშაობა მიმდინარეობს, ფოტოზე სწორედ ახალი თაობა ჩანს.



# ოზური სიმბოლიკა

ავსტრალიელები სხვებზე მეტს ფაციფუცობენ, ოლიმპიადის მასპინძლები არიან და სპორტსმენთა ღირსეულად წარმოჩენაც ყველაზე მეტად მართებთ. შრომის შედეგები სახეზეა: თეთრყრმისა გოგობს ის სამოსი გამოუფენიათ, რომელსაც პლაჟის ფრენბურთელები და მძლეოსნები ჩაიცვამენ, ხოლო მესამე ფოტო სიმბოლოს გამოხატავს, რომლითაც სიდნეიში ავსტრალიელ სპორტსმენთა უცხოთაგან გამორჩევა იქნება შესაძლებელი. სიმბოლოზე ინგლისის ტახტისადმი ერთგულების ყველა ნიშანი წარხცილია: არავითარი ლომ-ვეფხვები და ჯიქ-პანტერები, მათი ადგილი მწვანე კონტინენტის სიმბოლოებს, კენგურუსა და ემუს უჭირავთ.



# საფეხბურთო ღოცვა



პარაზვამლები სასოებით ღოცულობენ, ბრაზილიასთან თამაში უწევთ და ცოდვითაგან განწმენდილებს უნდათ მოედანზე გასვლა, რათა დემრთი შეეწიოთ და სენსაცია გამოაცხონ. კათოლიკური ტაძარი, სადაც პედრო სარაბიასა (მარცხნივ) და ვალტერ ავალოსის სულები ნათლდება, დედაქალაქიდან 150 კილომეტრზეა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ფეხბურთელებს ეს მანძილი მუხლებზე ჩოქვით არ დაუფარავთ.



**სარბიელი**  
საორტული გაზეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამაგაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

საგარი რედაქტორი ზურაბ შონგვერია  
დირექტორი გიორგი ივროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიალი  
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი  
ავთანდილ გურასაშვილი  
ჭარბული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიანაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობორაძე  
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქტორი ჭარბული განყოფილება კობა ინსარაძე,  
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, ზურაბ მეშველია, ვანო ოქრო-პირიძე; ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორნელი დენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გონალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე; ტრისტან კანურაშვილი, ნინო კელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ მიოლაშვილი, გიორგი ზარატიშვილი; გამომწვეები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
შაზბაძის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieli@iberiapac.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbieli.com.ge>